შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ფინანსური მდგრადობის შეფასების მექანიზმები

მარნეული
2024 წ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში კოლეჯის) ფინანსური მდგრადობის შეფასების მექანიზმებს.
2. წინამდებარე წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი და ფინანსური მენეჯერი.

მუხლი 2. პროცესი, პასუხისმგებლობები

1. ფინანსური მდგომარეობის შეფასება წარმოებს ყოველწლიურად, ფინანსური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში.
2. ფინანსური მენეჯერი, ამ მექანიზმებით განსაზღვრული წესების შესაბამისად, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ფინანსური მდგრადობის შეფასების დოკუმენტს, მითითებულ ვადებში.
3. კოლეჯის დირექტორი, ფინანსური მდგომარეობის შეფასების დოკუმენტის მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში:
    3.1.დაადასტურებს ფინანსურ მდგრადობას; ან
    3.2. დაადასტურებს ფინანსური მდგრადობის პრობლემებს.
4. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორმა დაადასტურა ფინანსური მდგრადობის პრობლემები, იგი ვალდებულია მოიწვიოს დამფუძნებელთა კრება და განიხილოს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის გზები.

მუხლი 3. მექანიზმების აღწერა

1. ფინანსური მდგომარეობის შეფასება ხდება ლიკვიდურობის, სესხისა და მომგებიანობის კოეფიციენტების შედარებით ამ მექანიზმებით განსაზღვრულ ნიშნულებთან.
2. კოეფიციენტები, მათი გამოთვლის წესი და საყურადღებო ნიშნულები მოცემულია ცხრილში:

ლიკვიდურობის კოეფიციენტები კოეფიციენტები რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის მოკლევადიან ფინანსურ მდგრადობას		
მიმდინარე კოეფიციენტი	მოკლევადიანი აქტივების ფარდობა მოკლევადიან ვალდებულებებთან	> 0.5
საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი	საოპერაციო ფულადი ნაკადების ფარდობა წინა და მიმდინარე წლის საშუალო მოკლევადიან ვალდებულებებთან	> 0.5
სესხის კოეფიციენტები კოეფიციენტები რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობას		
სესხის კოეფიციენტი	სესხის ფარდობა მთლიან აქტივებთან	< 5.0
სესხის დაფარვის კოეფიციენტი	საოპერაციო მოგების ფარდობა სესხის წლიურ	< 1.1

	შენატანთან	
მომგებიანობის კოეფიციენტები კოეფიციენტები რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის მომგებიანობასა და ეფექტურობას		
წმინდა მოგების მარჟა	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ფარდობა საანგარიშგებო პერიოდის ნეტო ამონაგებთან	> 0%
მთლიან აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ფარდობა წინა და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის საშუალო მთლიან აქტივებთან	> 0%
საკუთარ კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ფარდობა წინა და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის საშუალო საკუთარ კაპიტალთან	> 0%

3. კოლეჯის დირექტორს აქვს უფლება დაადასტუროს ფინანსური მდგრადობის პრობლემები და მოიწვიოს საერთო კრება, იმ შემთხვევაში, თუ:
    3.1. დარღვეულია ლიკვიდურობის ერთი ან მეტი კოეფიციენტის საყურადღებო ნიშნული; ან
    3.2. დარღვეულია სესხის ერთი ან მეტი კოეფიციენტის საყურადღებო ნიშნული; ან
    3.3. დარღვეულია მომგებიანობის ერთი ან მეტი კოეფიციენტის საყურადღებო ნიშნული; ან
    3.4. კოეფიციენტების უარყოფითი დინამიკის, ან ნებისმიერ იმ შემთხვევაში, რომელიც ატარებს ფინანსური მდგრადობის პრობლემების ნიშნებს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მექანიზმს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანებით.
2. წინამდებარე მექანიზმის გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით.